სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 10 – 110/2

ქ. თბილისი 8 ოქტომბერი , 2019 წ.

შემსყიდველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ირინე აბულაძის სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051224

მიმწოდებელი: სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო", წარმოდგენილი დირექტორის დავით გიორგობიანის სახით.
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
საიდენტიფიკაციო კოდი: ს/კ 204 478 948
სს „თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი - TBCBGE22
ა/ა GE96 TB0600 0003 6020 0182

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, 26.09.2019წ. №1279513 სამსახურებრივი ბარათის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6„მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბალანსზე რიცხული 4 (ოთხი) ერთეული ავტომანქანების
1)HYUNDAI ELANTRA-ს სახელმწიფო ნომრით FFI – 760 - ს/ნ KMHDG41CAEU245959.
2) HYUNDAI ELANTRA სახელმწიფო ნომრით FFI – 761 - ს/ნ KMHDG41CAEU245879.
3) HYUNDAI ELANTRA სახელმწიფო ნომრით FFI – 762 ს/ნ KMHDG41CAEU245972.
4)HYUNDAI H-1 სახელმწიფო ნომრით MSY-900- ს/ნ KMHWH81KBEU680565.
ტექნიკური მომსახურების/ შეკეთების შესყიდვა (CPV50112000).

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **5 000.00 (ხუთი ათასი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ერთეულის ფასები მოცემულია თანდართულ პრეისკურანტში (დანართი №1 და დანართი N2), რომელიც ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შეადგენს **56033.00 (ორმოცდათექვსმეტი ათას ოცდაცამეტი) ლარს.**

3.3 თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ განფასების ცხრილში არ არის საჭირო მომსახურება ან/და სათადარიგო ნაწილი, ასეთი სათადარიგო ნაწილის ან/და მომსახურების ფასი დგინდება მხარეთა შორის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით.

3.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის და თანმდევი მომსახურების ღირებულების მიხედვით,

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

4.5 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინიტროს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი („განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება" (პროგრამული კოდი 320101).

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ავტომობილების ტექნიკური მომსახურება/შეკეთება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით: მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის (დეფექტური აქტი, მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია) გაფორმების შემდეგ.

5.2 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისადა სპორტის სამინიტროს მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ან მისი არყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი.

5.3 საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინიტროს მხრიდან დეფექტურ აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: საბუღალტრო აღრიცხვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლევან ბუწაშვილი.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და ადგილი

6.1 ხელშეკრულების დანართი N1-ში და დანართი N2-ში მითითებული ავტომობილების ტექნიკური მომსახურება/ შეკეთება გაწეული უნდა შემსყიდველისთვის მოთხოვნის შესაბამისად, დაუყოვნებლივ, დეფექტური აქტის გაფორმების დღიდან შემდეგი ვადით:

ა)სავალი ნაწილები 1-დან 3 დღემდე;

ბ) ელექტროობა 1-დან 5 დღემდე;

გ) აგრეგატები 1-დან 3 დღემდე;

დ) გადაცემათა კოლოფი 1-დან 5 დღემდე;

ე) სათუნუქე-სამღებრო სამუშაოები 5- დან - 25 დღემდე;

ვ) სათადარიგო ნაწილის მიწოდების საჭიროების შემთხვევაში - დეფექტური აქტის გაფორმების დღიდან 10-დან 55 დღემდე.

6.2 არგუმენტის საფუძველზე შემსყიდველი უფლებამოსილია განუსაზღვროს დამატებითი გონივრული ვადა საქონელი თანმდევი მომსახურებით განხორციელებაზე, რაზედაც გაფორმდება ურთიერთშეთანხმების აქტი. ურთიერთშეთანხმების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საბუღალტრო აღრიცხვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლევან ბუწაშვილი.

6.3 დეფექტური აქტი უნდა გაფორმდეს ავტომობილის სერვის-ცენტრში მიყვანიდან და შემსყიდველის მხრიდან დეფექტური აქტის ხელმომწერი პირის სერვისცენტრში გამოცხადებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.
6.4 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

## 7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულების დანართი N1-ში და დანართი N2-ში მითითებული საქონელი და გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების ხარისხზე.
7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის და გაწეული ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

## 8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო ვადის განმავლობაში მინიმუმ 6 თვე ძირითად ნაწილებზე, ხოლო ხუნდები არანაკლებ 8000 კმ., საცხებ-საპოხ მასალებზე არანაკლებ 5000კმ. შემსყიდველის მხრიდან საქონლის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული საქონლის შეცვლა ახლით, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენის შესახებ დეფექტური აქტის გაფორმების დღიდან 4 კლენდარული დღის ვადაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ხარვეზი გამოწვეულია მექანიკური დაზიანებით ან ბუნებრივი ცვეთით).
8.2 არგუმენტის საფუძველზე შემსყიდველი უფლებამოსილია განუსაზღვროს დამატებითი ვადა წუნდებული საქონლის შესაკეთებლად ან შესაცვლელად.

## 9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ გაფორმდება შესაბამისი დოკუმენტაცია (ინსპექტირების აქტი). კონტროლის განმახორციელებელი პირი ასევე ამოწმებს წუნდებული საქონლის მიმწოდებლის მიერ ახლით ჩანაცვლებული ან შეკეთებული საქონლის ტექნიკურ გამართულობას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ ასევე გაფორმდება შესაბამისი დოკუმენტაცია (ინსპექტირების აქტი).
9.2 ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს საბუღალტრო აღრიცხვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლევან ბუწაშვილი.
9.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
9.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

## 10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
10.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი (ნაწილობრივ) შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით ან/და არაჯეროვნად შეასრულებს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ მუხლის 10.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.
10.5 მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
10.6 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) შეტყობინებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

### 11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
11.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
11.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### 12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

### 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 14. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე

15.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

## 16. ზოგადი დებულებები

16.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

16.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

16.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

16.5 მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველის მხრიდან: | მიმწოდებლის მხრიდან: |
| --- | --- |
| მინისტრის მოადგილე | დირექტორი |
| ირინე აბულაძე | დავით გიორგობიანი |
| ------------------------ | HYUNDAI AVTO GEORGIA JSC ------------------ Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Date: 2019.10.08 13:30:57 +04'00' |

# ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი ოქტომბერი, 2019 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს"** შორის სამინისტროს ბალანსზე რიცხული 4 ერთეული ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების/შეკეთების შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად ვაკმაყოფილებთ კანონის ამ მოთხოვნას და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მიღება-ჩაბარებაზე ხელმომწერი პირი:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი

გიორგი გურგენიძე ________________

კონტროლის განმახორციელებელი პირი:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი

ლევან ბუწაშვილი ________________

დანართი №1

| ჰიუნდაი ელანტრა 1.6 (მექანიკური გადაცემათა კოლოფი) 2014 წლის მოდელი | | | | |
|---|---|---|---|---|
| HYUNDAI ELANTRA - სახელმწიფო ნომრით FFI – 760 - ს/ნ KMHDG41CAEU245959 | | | | |
| HYUNDAI ELANTRA - სახელმწიფო ნომრით FFI – 761 - ს/ნ KMHDG41CAEU245879 | | | | |
| HYUNDAI ELANTRA - სახელმწიფო ნომრით FFI – 762 ს/ნ KMHDG41CAEU245972 | | | | |
| № | სათადარიგო ნაწილი / მომსახურება | განზომილების ერთეული | ნაწილის ერთეულის ფასი (ლარი) | მომსახურების ერთეულის ფასი (ლარი) |
| 1 | წინა სამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 250.0 | 15.0 |
| 2 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 185.0 | 15.0 |
| 3 | ხელის მუხრუჭის ბაგირი | ცალი | 155.0 | 40.0 |
| 4 | წინა ამორტიზატორი | ცალი | 335.0 | 40.0 |
| 5 | უკანა ამორტიზატორი | ცალი | 280.0 | 30.0 |
| 6 | წინა ამორტიზატორის ბალიში | ცალი | 110.0 | 30.0 |
| 7 | წინა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 160.0 | 35.0 |
| 8 | უკანა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 170.0 | 30.0 |
| 9 | წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი | ცალი | 70.0 | 40.0 |
| 10 | უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი | ცალი | 80.0 | 30.0 |
| 11 | ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 18.0 | 40.0 |
| 12 | საჭის ღერძი (კოლონკა) | ცალი | 1192.0 | 175.0 |
| 13 | საჭის ღერძის ბორბალი (შტურვალი) | ცალი | 445.0 | 50.0 |
| 14 | საჭის ღერძის დაბოლოება (ნაკანეჩნიკი) | ცალი | 85.0 | 15.0 |
| 15 | საჭის ღერძის წევა (უდარნი ტიაგა) | ცალი | 95.0 | 15.0 |
| 16 | წინა დაკიდების ბერკეტი (გიტარა) | ცალი | 405.0 | 30.0 |
| 17 | დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი | ცალი | 55.0 | 30.0 |
| 18 | დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა | ცალი | 50.0 | 30.0 |
| 19 | ბურთულოვანი სახსარი (შარავოი) | ცალი | 94.0 | 25.0 |
| 20 | წინა სამუხრუჭე დისკო | ცალი | 270.0 | 20.0 |
| 21 | უკანა სამუხრუჭე დისკო | ცალი | 330.0 | 35.0 |
| 22 | წინა მორგვის საკისარი | ცალი | 190.0 | 50.0 |
| 23 | წინა მორგვი საკისარი | ცალი | 315.0 | 50.0 |
| 24 | უკანა მორგვი საკისარით | ცალი | 472.0 | 50.0 |
| 25 | მორგვის ჭანჭიკი (ბოლტი) | ცალი | 6.0 | 40.0 |
| 26 | საბურავის სამაგრი ქანჩი (გაიკა) | ცალი | 6.0 | 5.0 |
| 27 | ყუმბარა გარეთა მხარე | ცალი | 530.0 | 40.0 |
| 28 | ყუმბარა შიდა მხარე | ცალი | 495.0 | 50.0 |
| 29 | ყუმბარა ერთი მხარე (გარეთა შიგნითა ) | კომლექტი | 1060.0 | 40.0 |
| 30 | გარეთა ყუმბარის სამტვერული | ცალი | 110.0 | 40.0 |
| 31 | შიგნითა ყუმბარის სამტვერული | ცალი | 105.0 | 50.0 |
| 32 | გადაბმულობის ქურო | ცალი | 215.0 | 230.0 |
| 33 | გადაბმულობის დისკო | ცალი | 265.0 | 230.0 |
| 34 | გადაბმულობის საკისარი | ცალი | 95.0 | 230.0 |
| 35 | წინა წერო | ცალი | 412.0 | 40.0 |
| 36 | გადაცემათა კოლოფის ქვედა სამაგრის (პოდკორობოჩნი) | ცალი | 238.0 | 30.0 |
| 37 | ძრავის ქვედა სამაგრის (პოდმოტოტრნი) | ცალი | 304.0 | 40.0 |
| 38 | მუხრუჭის მთავარი ცილინდრის | ცალი | 435.0 | 40.0 |
| 39 | მუხრუჭის შლანგი | ცალი | 68.0 | 15.0 |
| 40 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | ცალი | 12.0 | 15.0 |
| 41 | მშრალი ამორტიზატორის მჭიდი | ცალი | 7.0 | 10.0 |
| 42 | წინა ღერო (სტერჯინი) | ცალი | 90.0 | 15.0 |
| 43 | ABS-ს მოდული | ცალი | 3130.0 | 150.0 |
| 44 | ABS -ს დაჩიკი | ცალი | 225.0 | 20.0 |
| 45 | მაყუჩი | ცალი | 807.0 | 30.0 |
| 46 | უკანა ბალკის ვტულკა | ცალი | 45.0 | 30.0 |
| 47 | ძრავის კარტერი | ცალი | 92.0 | 40.0 |
| 48 | ძრავის ქვედა საფარი | ცალი | 100.0 | 15.0 |
| 49 | საწვავის ავზი | ცალი | 718.0 | 80.0 |
| 50 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 40.0 | უფასო |
| 51 | ზეთის ფილტრი | ცალი | 20.0 | – |
| 52 | საწვავის ფილტრი | ცალი | 100.0 | 50.0 |
| 53 | კონდეციონერის (სალონის) ფილტრი | ცალი | 80.0 | 10.0 |
| 54 | საწვავის ნასოსი | ცალი | 455.0 | 50.0 |
| 55 | წყლის ტუმბო | ცალი | 280.0 | 105.0 |
| 56 | თერმოსტატი | ცალი | 42.0 | 30.0 |
| 57 | გენერატორი | ცალი | 1387.0 | 60.0 |
| 58 | გენერატორის ღიოდი | ცალი | 165.0 | 70.0 |
| 59 | დამმუხტველი რელე | ცალი | 208.0 | 80.0 |
| 60 | სტარტერი | ცალი | 712.0 | 50.0 |
| 61 | სტარტერის ჩოთქი | ცალი | 103.0 | 70.0 |
| 62 | სტარტერის იაკორი | ცალი | 226.0 | 70.0 |
| 63 | სტარტერის ბენდექსი | ცალი | 123.0 | 70.0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 64 | სტარტერის ავტომატი | ცალი | 175.0 | 70.0 |
| 65 | სანთელი | ცალი | 25.0 | 5.0 |
| 66 | ელექტრო კოჭა (ბაბინა) | ცალი | 160.0 | 20.0 |
| 67 | ძრავის ჯაჭვი | ცალი | 195.0 | 250.0 |
| 68 | ძრავის ჯაჭვის დამჭიმი | ცალი | 205.0 | 250.0 |
| 69 | ძრავის ჯაჭვის მიმმართველი | ცალი | 60.0 | 250.0 |
| 70 | დინამოს ღვედი | ცალი | 125.0 | 50.0 |
| 71 | დინამოს ღვედის გორგოლაჭი | ცალი | 88.0 | 50.0 |
| 72 | ძრავის წინა სალნიკი | ცალი | 40.0 | 250.0 |
| 73 | ძრავის უკანა სალნიკი | ცალი | 45.0 | 300.0 |
| 74 | ზეთის წნევის მაჩვენებელი | ცალი | 63.0 | 30.0 |
| 75 | წყლის რადიატორი | ცალი | 658.0 | 40.0 |
| 76 | რადიატორის შლანგი | ცალი | 60.0 | 20.0 |
| 77 | წყლის რადიატორის ვენტილატორი | ცალი | 642.0 | 30.0 |
| 78 | წყლის ტემპერატურის დაჩიკი | ცალი | 70.0 | 30.0 |
| 79 | საჭის შლეიფი | ცალი | 225.0 | 30.0 |
| 80 | კატალიზატორის დაჩიკი | ცალი | 370.0 | 15.0 |
| 81 | ფარი წინა | ცალი | 650.0 | 10.0 |
| 82 | ფარი უკანა გარეთა მხარე | ცალი | 305.0 | 10.0 |
| 83 | ფარი უკანა შიგნითა მხარე | ცალი | 325.0 | 10.0 |
| 84 | საყვირი | ცალი | 60.0 | 15.0 |
| 85 | კარის მინა | ცალი | 180.0 | 30.0 |
| 86 | წინა საქარე მინა | ცალი | 1050.0 | 140.0 |
| 87 | უკანა საქარე მინა | ცალი | 540.0 | 140.0 |
| 88 | საქარე მინის საწმენდები | ცალი | 55.0 | 5.0 |
| 89 | გვერდითა ხედვის სარკე (კომპლექტი) | ცალი | 395.0 | 25.0 |
| 90 | გვერდითა ხედვის სარკე (მინა) | ცალი | 60.0 | 10.0 |
| 91 | შუშის ამწევი მექანიზმი | ცალი | 260.0 | 35.0 |
| 92 | კონდიციონერის კომპრესორი | ცალი | 1684.0 | 130.0 |
| 93 | ჰალოგენის ნათურა | ცალი | 55.0 | 10.0 |
| 94 | წინა ფარის ნათურა | ცალი | 30.0 | 5.0 |
| 95 | გაბარიტის ნათურა | ცალი | 7.0 | 5.0 |
| 96 | უკანა სტოპ ნათურა | ცალი | 17.0 | 5.0 |
| 97 | აკუმლატორი | ცალი | 215.0 | 10.0 |
| 98 | ძრავის ზეთი (სინთეტიკა) | 1 ლიტრი | 25.0 | – |
| 99 | გადაცემათა კოლოფის ზეთი | 1 ლიტრი | 25.0 | -- |
| 100 | სამუხრუჭე სითხე | 1 ლიტრი | 80.0 | – |
| 101 | ანტიფრიზი | 1 ლიტრი | 17.0 | – |
| 102 | ყინვაგამძლე სითხე | 1 ლიტრი | 17.0 | – |
| 103 | კონდიციონერის ფრეონი | 100 გრ | 13.0 | – |
| 104 | დროსელის საწმენდი სითხე | 1 ბალონი | 30.0 | – |
| 105 | ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა | კომპლექტი | – | 15.0 |
| 106 | გადაცემათა კოლოფიში ზეთის შეცვლა | კომპლექტი | – | 40.0 |
| 107 | სამუხრუჭე სითხის შეცვლა | კომპლექტი | – | 45.0 |
| 108 | ანტიფრიზის შეცვლა | კომპლექტი | – | 25.0 |
| 109 | კონდიციონერიში ფრეონის ჩატუმბვა | კომპლექტი | – | 30.0 |
| 110 | საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება | ცალი | – | 15.0 |
| 111 | განშლა | კომლექტი | – | 40.0 |
| 112 | ნახარის გასწორება | კომპლექტი | – | 140.0 |
| 113 | დროსელის გაწმენდა | კომპლექტი | | 30.0 |
| 114 | ხელის მუხრუჭის რეგულირება | ცალი | – | 40.0 |
| 115 | კომპიუტერული დიაგნოსტიკა | კომპლექტი | – | 40.0 |
| 116 | საჭის მექანიზმის მოხსნა-დაყენება | კომპლექტი | – | 175.0 |
| 117 | საჭის მექანიზმის აღდგენა | კომპლექტი | – | 175.0 |
| 118 | სამუხრუჭე სითხის დამატება | საჭიროების შესაბამისად | – | უფასო |
| 119 | ანტიფრიზის დამატება | საჭიროების შესაბამისად | – | უფასო |
| 120 | ევაკუატორის გამოძახება | თბილისის ფარგლებში | – | 25.0 |
| 121 | ევაკუატორით მომსახურება | 1 კმ | – | 2.0 |
| 122 | ევაკუატორის გამოძახება | თბილისის ფარგლებს გარეთ | – | 25.0 |
| 123 | ევაკუატორით მომსახურება | 1 კმ | – | 1.5 |
| | | პრეისკურანტის ღირებულება | | 34931.50 ლარი |

„შემსყიდველი"

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

მინისტრის მოადგილე

ირინე აბულაძე

„მიმწოდებელი"

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"

დირექტორი

დავით გიორგობიანი

დანართი №2

| ჰიუნდაი 1 2.5 (ავტომატური გადაცემათა კოლოფი) | | | | |
|---|---|---|---|---|
| HYUNDAI H-1-ის მოდელის ( სახელმწიფო ნომრით MSY-900- ს/ნ KMHWH81KBEU680565) | | | | |
| | სათადარიგო ნაწილი / საცხებ-საპოხი მასალა მომსახურება | განზომილების ერთეული | ნაწილის ერთეულის ფასი (ლარი) | მომსახურების ერთეულის ფასი (ლარი) |
| 1 | წინა ასამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 270.00 | 15.00 |
| 2 | უკანა სამუხრუჭე ხუნდები | კომლექტი | 215.00 | 15.00 |
| 3 | ხელის მუხრუჭის ხუნდები | კომლექტი | 160.00 | 30.00 |
| 4 | ხელის მუხრუჭის ბაგირი | ცალი | 143.00 | 40.00 |
| 5 | წინა ამორტიზატორი | ცალი | 295.00 | 40.00 |
| 6 | უკანა ამორტიზატორი | ცალი | 270.00 | 25.00 |
| 7 | წინა ამორტიზატორის ბალიში | ცალი | 110.00 | 25.00 |
| 8 | წინა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 160.00 | 40.00 |
| 9 | უკანა ამორტიზატორის ზამბარა | ცალი | 215.00 | 40.00 |
| 10 | წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი | ცალი | 65.00 | 40.00 |
| 11 | უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი | ცალი | 85.00 | 40.00 |
| 12 | წინა ამორტიზატორის საკისარი | ცალი | 55.00 | 25.00 |
| 13 | წინა ამორტიზატორის სამტვერული | ცალი | 19.00 | 40.00 |
| 14 | საჭის ღერძი | ცალი | 3130.00 | 175.00 |
| 15 | საჭის ღერძის შტურვალი | ცალი | 490.00 | 50.00 |
| 16 | საჭის ღერძის დაბოლოება | ცალი | 80.00 | 15.00 |
| 17 | საჭის ღერძის წევა | ცალი | 95.00 | 15.00 |
| 18 | წინა დაკიდების ბერკეტი | ცალი | 350.00 | 35.00 |
| 19 | უკანა დაკიდების ბერკეტი | ცალი | 330.00 | 35.00 |
| 20 | წინა დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი | ცალი | 50.00 | 40.00 |
| 21 | წინა დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა | ცალი | 45.00 | 40.00 |
| 22 | უკანა დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი | ცალი | 50.00 | 40.00 |
| 23 | უკანა დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა | ცალი | 45.00 | 40.00 |
| 24 | ბურთულოვანი სახსარი | ცალი | 140.00 | 30.00 |
| 25 | უკანა განივი ძელი | ცალი | 185.00 | 35.00 |
| 26 | უკანაძ განივი ძელის მილისა | ცალი | 50.00 | 35.00 |
| 27 | უკანა გრძივი ძელი | ცალი | 178.00 | 39.00 |
| 28 | უკანაძ გრძივი ძელის მილისა | ცალი | 50.00 | 35.00 |
| 29 | წინა სამუხრუჭე დისკო | ცალი | 358.00 | 25.00 |
| 30 | უკანა სამუხრუჭე დისკო | ცალი | 327.00 | 50.00 |
| 31 | წინა მორგვი | ცალი | 402.00 | 40.00 |
| 32 | უკანა ხიდის ნახევარღერძი | ცალი | 585.00 | 135.00 |
| 33 | უკანა ნახევარღერძის საკისარი | ცალი | 240.00 | 150.00 |
| 34 | უკანა ნახევარღერძის ჩობალი | ცალი | 17.00 | 150.00 |
| 35 | მორგვის ჭანჭიკი | ცალი | 6.00 | 40.00 |
| 36 | საბურავის სამაგრი ქანჩი | ცალი | 6.00 | 5.00 |
| 37 | გადაცემათა კოლოფის ქვედა სამაგრი | ცალი | 260.00 | 40.00 |
| 38 | ძრავის ქვედა სამაგრი | ცალი | 278.00 | 50.00 |
| 39 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა | ცალი | 12.00 | 20.00 |
| 40 | მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა | ცალი | 12.00 | 10.00 |
| 41 | მშრალი ამორტიზატორის მჭიდი | ცალი | 7.00 | 10.00 |
| 42 | წინა ღერო | ცალი | 85.00 | 15.00 |
| 43 | უკანა ღერო | ცალი | 80.00 | 15.00 |
| 44 | ჰაერის ფილტრი | ცალი | 50.00 | უფასო |
| 45 | ზეთის ფილტრი | ცალი | 50.00 | – |
| 46 | საწვავის ფილტრი | ცალი | 115.00 | 50.00 |
| 47 | სალონის ფილტრი | ცალი | 75.00 | 10.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 48 | გმათბობლის ხანთელი | ცალი | 125.00 | 25.00 |
| 49 | დინამოს ღვედი | ცალი | 115.00 | 70.00 |
| 50 | დინამოს ღვედის დამჭიმი | ცალი | 180.00 | 70.00 |
| 51 | დინამოს ღვედის გორგოლაჭი | ცალი | 90.00 | 70.00 |
| 52 | წყლის ტუმბო | ცალი | 330.00 | 80.00 |
| 53 | თერმოსტატი | ცალი | 42.00 | 35.00 |
| 54 | ჰიდროგამაძლიერებლის ტუმბო | ცალი | 760.00 | 80.00 |
| 55 | ჰიდროგამაძლიერებლის მაღალი წნევის მილი | ცალი | 450.00 | 50.00 |
| 56 | ABS-ს მართვის მოდული | ცალი | 2850.00 | 150.00 |
| 57 | ABS-ს სენსორი | ცალი | 225.00 | 15.00 |
| 58 | ამძრავი | ცალი | 620.00 | 90.00 |
| 59 | ამძრავის ავტომატი | ცალი | 155.00 | 100.00 |
| 60 | ამძრავის კბილანა | ცალი | 163.00 | 100.00 |
| 61 | ამძრავის ღუზა | ცალი | 304.00 | 100.00 |
| 62 | ამძრავის ჩოთქი | ცალი | 98.00 | 100.00 |
| 63 | ამძრავის კბილანას საკისარი | ცალი | 55.00 | 100.00 |
| 64 | გენერატორი | ცალი | 1390.00 | 100.00 |
| 65 | გენერატორის რელე რეგულატორი | ცალი | 180.00 | 110.00 |
| 66 | გენერატორის დიოდი | ცალი | 210.00 | 110.00 |
| 67 | გენერატორის საკისარი | ცალი | 50.00 | 110.00 |
| 68 | ძრავის ჯაჭვი | ცალი | 200.00 | 400.00 |
| 69 | ძრავის ჯაჭვის დამჭიმი | ცალი | 150.00 | 400.00 |
| 70 | ძრავის ჯაჭვის დამამშვიდებელი | ცალი | 45.00 | 400.00 |
| 71 | ძრავის ჯაჭვის მიმმართველი | ცალი | 40.00 | 400.00 |
| 72 | ზეთის ტუმბოს ჯაჭვი | ცალი | 145.00 | 400.00 |
| 73 | ზეთის ტუმბოს ჯაჭვის დამჭიმი | ცალი | 184.00 | 400.00 |
| 74 | ზეთის ტუმბოს ჯაჭვის დამამშვიდებელი | ცალი | 32.00 | 400.00 |
| 75 | საქარე მინის საწმენი | ცალი | 55.00 | 5.00 |
| 76 | ჰალოგენის ნათურა | ცალი | 60.00 | 10.00 |
| 77 | წინა ფარის ნათურა | ცალი | 35.00 | 5.00 |
| 78 | გაბარიტის ნათურა | ცალი | 5.00 | 5.00 |
| 79 | უკანა სტოპ ნათურა | ცალი | 17.00 | 5.00 |
| 80 | აკუმლატორი | ცალი | 295.00 | 10.00 |
| 81 | საწვავის ავზის ხუფი | ცალი | 35.00 | 0.00 |
| 82 | მუხლა ლილვის ამთვლელი გადამწოდი | ცალი | 150.00 | 60.00 |
| 83 | საბარგულის ამორტიზატორი | ცალი | 95.00 | 15.00 |
| 84 | სტოპ მაშუქის ჩამრთავ გამომრთავი გადამწოდი (ლიაგუშკა) | ცალი | 45.00 | 35.00 |
| 85 | საწვავის ავზის მოხსნა დაყენება , გამორეცხვა | ცალი | – | 180.00 |
| 86 | წინა სამუხრუჭე დისკის მოხეხვა | ცალი | – | 40.00 |
| 87 | უკანა კარების სასრიალო გორგოლაჭი ზედა ნაწილი | ცალი | 35.00 | 30.00 |
| 88 | უკანა კარების სასრიალო გორგოლაჭი შუა ნაწილი | ცალი | 130.00 | 30.00 |
| 89 | უკანა კარების სასრიალო გორგოლაჭი ქვედა ნაწილი | ცალი | 175.00 | 30.00 |
| 90 | ძრავის ზეთი სინთეტიკა | 1 ლიტრი | 25.00 | – |
| 91 | გადაცემათა კოლოფის ზეთი | 1 ლიტრი | 25.00 | – |
| 92 | ხიდის ზეთი | 1 ლიტრი | 22.00 | – |
| 93 | საჭის ჰიდროგამაძლიერებლის ზეთი | 1 ლიტრი | 25.00 | – |
| 94 | სამუხრუჭე სითხე | 1 ლიტრი | 80.00 | – |
| 95 | ანტიფრიზი | 1 ლიტრი | 17.00 | – |
| 96 | ფრეონი | 100 გრ | 13.00 | – |
| 97 | ყინვაგამძლე სითხე | 1 ლიტრი | 17.00 | – |
| 98 | ძრავის ზეთისა და ზეთის ფილტრის შეცვლა | კომპლექტი | – | 15.00 |
| 99 | გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლა | კომპლექტი | – | 40.00 |
| 100 | ხიდში ზეთის შეცვლა | კომპლექტი | – | 30.00 |
| 101 | საჭის ჰიდროგამაძლიერებლის ზეთის შეცვლა | კომპლექტი | – | 30.00 |
| 102 | ანტიფრიზის შეცვლა | კომპლექტი | – | 20.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 103 | სამუხრუჭე სითხის შეცვლა | კომლექტი | – | 45.00 |
| 104 | ფრეონის ჩატუმბვა | კომლექტი | – | 30.00 |
| 105 | საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება | ცალი | – | 20.00 |
| 106 | განშლა | კომლექტი | – | 40.00 |
| 107 | კომპიუტერული დიაგნოსტიკა | კომპლექტი | – | 40.00 |
| 108 | სამუხრუჭე სითხის დამატება | საჭიროების შესაბამისად | – | უფასო |
| 109 | ანტიფრიზის დამატება | საჭიროების შესაბამისად | – | უფასო |
| 110 | საჭის ჰიდროგამაძლიერებელის ზეთის დამატება | საჭიროების შესაბამისად | – | უფასო |
| 111 | ევაკუატორის გამოძახება | თბილისის ფარგლებში | – | 25.00 |
| 112 | ევაკუატორით მომსახურება | 1 კმ | – | 2.00 |
| 113 | ევაკუატორის გამოძახება | თბილისის ფარგლებს გარეთ | – | 25.00 |
| 114 | ევაკუატორით მომსახურება | 1 კმ | – | 1.50 |
| | | | პრეისკურანტის ღირებულება | 28016.50 ლარი |

„შემსყიდველი“

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

მინისტრის მოადგილე

ირინე აბულაძე

„მიმწოდებელი“

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“

დირექტორი

დავით გიორგობიანი